

სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემის გავლენა დემოკრატიზაციაზე
საქართველოში

გაგა თუთარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მელაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გაგა თუთარაშვილი 05.07.2021

მადლობა

როგორც წინამდებარე ნაშრომის ავტორი, მინდა მადლობა გადავუხადო სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს გიორგი მელაძეს; პროფესორებს: ზურაბ ჭიაბერაშვილსა და გია ნოდისას გაწეული შრომისა და რეკომენდაციებისათვის.

აბსტრაქტი

აღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემის გავლენა დემოკრატიზაციის პროცესზე საქართველოში. ნაშრომის პირველ ნაწილში განსაზღვრულია ზოგადად დემოკრატიზაციის, როგორც დემოკრატიის დამკვიდრებისათვის აუცილებელი პროცესის პირობები და შედეგები.

დემოკრატიზაციის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს საკითხებს განეკუთვნება პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს, ე.წ. „რუხ ზონაში“ დაპაუზება, რაც ერთი მხრივ, გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური წინაპირობებისგანაა გამოწვეული, ხოლო მეორე მხრივ, მმართველი პოლიტიკური ძალების მიერ დაშვებული შეცდომების შედეგად მიღებული გარდაუვალი სიმპტომია.

ნაშრომში მოცემულია დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის საჭირო სხვადასხვა წინაპირობა, მათ შორის მოდერნიზაციისა და ტრანზიციის თეორიები. ამ მხრივ, საქართველოს სახელმწიფოს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, რადგანაც დამოუკიდებლობის 30 წლიანი პერიოდის შემდგომაც კი, საქართველო არასდროს ყოფილა დემოკრატიული, იგი მუდმივად რჩებოდა ჰიბრიდულ რეჟიმად, რაც დემოკრატიულ და ავტორიტარულ მმართველობას შორის ერთგვარ დაუძლეველ ბარიერად იქცა.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, არაერთი ორგანიზაცია, მუდმივად მიუთითებს სასამართლოს სახელისუფლებო მმართველ პარტიაზე დამოკიდებულების შესახებ. ამავდროულად, დემოკრატიზაციის მკვლევრები სწორედ სასამართლოს ანიჭებენ ერთ-ერთ უმთავრეს როლს ადამიანის უფლებების დაცვისა და სახელმწიფოს თვითნებობის შეკავებისათვის. დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა ერთი მხრივ საფრთხეს უქმნის და ამუხრუჭებს დემოკრატიის კონსოლიდაციას, ხოლო მეორე მხრივ მოქალაქეებს მიზერულ რწმენასაც კი ვერ ანიჭებს არჩევნების გზით მოპოვებული ხელისუფლების ლეგიტიმაციისათვის. საქართველოს საზოგადოება არჩევნების

პროცესში აღმოჩენილი დარღვევების, გადაცდომებისა თუ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტების აღმოჩენისას უძღურია, რადგანაც დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობის პირობებში აზრს მოკლებულია ფორმალური ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გამოყენება ჭეშმარიტების დასადგენად. მმართველი ძალების მიერ სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენება საქართველოში დემოკრატიზაციის დამუხრუჭების მთავარი ფაქტორია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დემოკრატიზაცია, ჰიბრიდული რეჟიმი, სასამართლოს დამოუკიდებლობა, საარჩევნო დემოკრატია, საარჩევნო ავტორიტარიზმი.

Abstract

In the present master thesis, author describes The Impact of Judicial and Political System on Democratization in Georgia. In the first part, main discussion is about democratization as a process that establishes democratic state and rule, its backgrounds and consequences.

In the standpoint of democratization, the most important question rises about post-Soviet countries, that are paused on the way to democracy, among them Georgia is standing on the scale of “Grey Zone”. On the one hand it’s caused by many background and socio-economic issues and on the other hand by government authorities, who made mistakes which became a more systematic symptom of “Paused” states.

In this thesis, author describes some of the theories about democratization, such as modernization, transition and etc. By this view, Georgia stands on its long way far from the consolidated democratic state, even after 30 years of regaining independence from totalitarian Soviet Union. Georgia has never been a democracy, because hybrid standpoint lasts after changing governments that’s why it became invincible barrier for society between democratic and authoritarian turns.

From the regaining of independence, many organizations were underlying the most important problems in the judiciary branch, that keeps the courts depended on the rulers will. Simultaneously, by many constitutionalists and political scientists, court is the main contributor for democratization, because it filters ruling people’s will to power seizure, protects civil liberties and constitutional order. In the state, where impartial judiciary doesn’t exist, democratization is badly impacted. Even though, trust of the voters in terms of the transparent election system and results doesn’t come from judges, who are proud servants of ruling parties. It doesn’t matter whether observer finds an infringement of law during elections, because it’s a dream to confirm the facts in the court rooms. Without any sense, people of such states, doesn’t trust nor court systems nor electoral democracy, because they can’t use formal institutional tools for justice. Use of judiciary, as a political instrument against opposite side, pauses democratization in the hybrid regimes and so in Georgia.

Key Words: Democratization, Hybrid Regime, Judicial Independence, Electoral Democracy, Electoral Authoritarianism.